იდენტობის დისკურსები და აფხაზეთის საკითხი 1896-1905 წლების ქართულ პერიოდიკაში

(„ივერია“ და „ცნობის ფურცელი“)

ბადრი ოყუჯავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

აკადემიური ხელმძღვანელი: მალხაზ თორია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ბადრი ოყუჯავა

24.06.2021

სარჩევი

აბსტრაქტი iv

Abstract v

მადლობა vi

შესავალი 1

საკითხის დასმა, ნაშრომის მიზანი და აქტუალობა 1

საკვლევი კითხვები და წინასწარი ვარაუდები/ჰიპოთეზები 5

მეთოდოლოგია 7

მონაცემთა შერჩევის ჩარჩო და კატეგორიზაციის პრინციპი 8

კონტენტის თვისებრივი ანალიზი 9

საკვანძო ტერმინების განმარტება და კვლევის თეორიული ჩარჩო 10

კვლევის თეორიული ჩარჩო 11

ლიტერატურის მიმოხილვა 15

ნაშრომის სტრუქტურა 20

ემპირიული ნაწილი 21

ისტორიული კონტექსტი და კვლევის დროითი საზღვრები 21

პირველწყაროს შესახებ – „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ 22

გაზეთები და მკითხველი საზოგადოება – რაოდენობრივი სურათის ზოგიერთი თავისებურება 24

აფხაზეთი „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ საინფორმაციო ბადეში – კონტენტის რაოდენობრივი ანალიზი 31

კვლევის რაოდენობრივი ნაწილის შეჯამება 36

აფხაზეთი „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ საინფორმაციო ბადეში – კონტენტის თვისებრივი ანალიზი 37

განათლება და კულტურული აქტივობები – დისკურსები ერთიანი ერის შესახებ 37

პოლიტიკა – ორი ცენტრის განსხვავებული ინტერესები აფხაზეთის მიმართ 51

ადგილი მზის ქვეშ – აფხაზეთის დასახლების საკითხი და ქართული ნაციონალური დისკურსი 56

შეჯამება 68

ემპირიული ნაწილის შეჯამება 68

თეორიული ნაწილის შეჯამება და ჰიპოთეზების გადამოწმების შედეგები 70

სამომავლო კვლევის შესაძლო პერსპექტივები.....72
ბიბლიოგრაფია..... 73

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი 1896-1905 წლებში გამოცემულ გაზეთ „ივერიისა“ და „ცნობის ფურცელის“ პერიოდიკაზე დაყრდნობით იკვლევს აფხაზეთის ადგილს ქართულენოვანი პრესის მიერ ფორმირებულ იდენტობის დისკურსებში. კვლევის მიზანია, ნაციონალიზმის კონსტრუქტივისტული თეორიების პერსპექტივიდან, ქართული ნაციონალური დისკურსისა და ამ დისკურსში აფხაზეთის ინტეგრაციის პროცესის ანალიზი. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კვლევა ეფუძნება სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ გამოყენებად კომბინირებულ კვლევით სქემებს (Mixed Methods Research), რაც თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების შეთავსებასა და ამ გზით მათი შეზღუდვების კომპენსირებას გულისხმობს. კვლევის პირველი ნაწილი მოიცავს საკვლევად აღებული პერიოდიკის შინაარსის რაოდენობრივი ანალიზის (Quantitative Content Analysis) გზით მიღებულ რეზულტატებს, ხოლო მეორე ნაწილი შინაარსის თვისებრივი ანალიზის (Qualitative Content Analysis) გზით ცდილობს პრესის მიერ ფორმირებული იდენტობის დისკურსების გამოვლენას.

კვლევის რაოდენობრივმა ნაწილმა გვაჩვენა, რომ აფხაზეთთან დაკავშირებულ თემებს, დროის თანაბარ მონაკვეთში, „ცნობის ფურცელი“ უფრო მეტჯერ აშუქებდა, ვიდრე „ივერია“. ამასთან, ორივე გაზეთი ყველაზე ხშირად სოხუმთან დაკავშირებულ საგაზეთო მასალებს აქვეყნებდა. რაოდენობრივმა კვლევამ გამოკვეთა იმ ძირითადი თემატური ტენდენციების რიცხვითი სურათი, რაც საკვლევად აღებულ პერიოდში ახასიათებდა „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ საინფორმაციო ბადეებს.

კვლევის თვისებრივმა ნაწილმა გამოკვეთა საკვლევად აღებული გაზეთების მიერ აფხაზეთის შესახებ ფორმირებული დისკურსების ძირითადი მახასიათებლები და მათი მიმართება ერთიანი ქართული ერის იდეასთან.

საძიებო სიტყვები: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, აფხაზეთი, იდენტობის დისკურსები.

Abstract

The presented paper explores place of Abkhazia in the formation of national discourse by Georgian press. The paper based on the “Iveria” and “Tsnobis Purceli” publications in the period of 1896-1905. The inquiry aims to analyze Georgian national discourse and Abkhazia’s integration in it from the perspective of constructivist theories of nationalism. From the methodological perspectives, following research is based on widely used mixed methods research design. By the combination of Quantitative Content Analysis and Narrative Analysis the research result is highly trusted and reasonable.

The first part of the research includes the results obtained through Quantitative Content Analysis from the content in the given research period, while the second part tries to reveal the identity discourses formed by the press through Qualitative Content Analysis.

The quantitative part of the research exhibited that the issues related to Abkhazia were covered by the "Tsnobis Purceli" more times than by the "Iveria" in an equal period. At the same time, both newspapers most often published materials related to Sokhumi. Quantitative research demonstrated a numerical data of the main thematic trends that was characteristic of the spread of information networks of "Iveria" and "Tsnobis Purcell" during the study period. The qualitative part of the research revealed the main features of the discourses formed by the above-mentioned newspapers about Abkhazia and their relation to the idea of a united Georgian nation.

Keywords: “Iveria” “Tsnobis Purcell”, Abkhazia, Identity Discourses

მადლობა

წარმოდგენილი ნაშრომი საბოლოო სახეს ვერ მიიღებდა იმ ადამიანთა გარეშე, რომლებიც კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მიწევდნენ დახმარებას. მსურს დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს რჩევების, რეკომენდაციებისა და დათმობილი დროისთვის.

მადლობას ვუხდი კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელს, ბატონ მალხაზ თორიას. მისი კრიტიკული შენიშვნები და რეკომენდაციები უმნიშვნელოვანეს დახმარებას მიწევდა კვლევაზე მუშაობის პერიოდში.

მსურს მადლობა გადავუხადო მშვიდობის დემოკარტიის და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს, რომელმაც გამოხატა ინტერესი აფხაზეთის საკითხის კვლევისადმი და გადმომცა სტიპენდია წარმოდგენილი ნაშრომის მომზადებისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიას და ყველა მის თანამშრომელს. სწორედ სოვლაბში ყოფნის სამმა წელმა მომცა მოტივაცია და შემიქმნა ის პირობები, რომლის გარეშეც ამ კვლევაზე მუშაობა წარმოუდგენელი იქნებოდა.